ლექსი სოფელ ჭიორაზე

სინამდვილეს და სიმართლეს
ყური დაუგდეთ ამასა,
ჭიორის სოფლის ამბავსა
ვიტყვი თავგადასავალსა,
ძაღლმა და ღორმა უკურთხა
დანდაგი შვილის მამასა,
ორი სოფელი შეყარა
ჭირსა და ხათაბალასა,
გააბრიყვა ჭიორლები,
ჩამოგვედავა შთალასა,
შთალას მაინც ვინ მიცემთ მათ.
ფული დახარჯონ მრავლათა
თუნდ მოისყიდონ სუდია
ან და პრისტავი ქრთამათა.
ღები შთალას არ დაუთმობს,
რაც უნდა უყონ ძალათა.
წამოვიდნენ ჭიორლები
მგზნებარებისა ღაღადში,
ხვარგულის პირას მივიდნენ,
ველარ ავიდნენ აღმართში.

დაჯდნენ, გაშალეს რუკები,

შიგ ჩაიხედეს კარტაში,

ზემლემერმა კვეხნით უთხრა,

უნდა შევიდეთ შთალაში.

კირკა-ლაფატკა იგულვეთ,

სამნები ჩავსვათ სამძღვარში,

ვერც ვინმე ღებელი კაცი

ხელს ვერ შემიშლის კარნახში.

გათვალისწინებულია,

საქმეს მოვიყვან ძალაში.

ჭიორიდან მოდიოდა

თანდილაშვილის რძალიო.

ღებელნი ახალგაზრდანი

საყდრის თელას ქვეშ არიო,

თანდილაშვილის რძალმაც კი

მათკენ მიაპყრო თვალიო:

ღებელნო, ახალგაზრდანო,

ეს რა ბიჭობა არიო,

რა დროს თელას ქვეშ დგომაა,

ჩვენს თავს ხლაფორთი არიო,

ჭიორის მამაკაცები

ყველა წიხვარგას არიო.

შთალა-წიხვარგას გვართმევენ,

ნუ თუ ის მათი არიო.

ღებელთა ახალგაზრდათა

მწარედ შეყარეს წარბიო.

გამოილაშქრნენ ისინი,

როგორც წამხული ზვავიო.

შთალიკალთას რომ მივიდნენ,

იქ მოიყარეს თავიო.

ისე დავბეჟოთ ჭიორა,

არ შევარჩინოთ ძვალიო.

წავიდა ღები იქითკენ,

სადაც ჭიორა არიო,

ახლოს მივიდნენ ღებელნი,

დიდი ჩოჩქოლი არიო.

ღებელნი ეუბნებიან:

ეს დიდი მტრობა არიო?

არ გაიქცეთ ჭიორლებო,

ბიჭობა ახლა არიო.

ერთი რომ კარგად მოგზილოთ,

ვით საქალამნე ტყავიო.

იკვნეტდეთ კბილით ტუჩებსა,

რად ჩავიდინეთ ავიო.

მაშინ კი დაგავიწყდებათ

შთალა და მისი კვალიო.

გოჩეენ ფეცი წარმოდგა,

სიტყვები უთხრა საგანში:

ზემლემერო ნუ ირჯები!

ტყვილად ნუ ებმი ხაფანგში,

ეს ყველა შენით მოვიდა,

შეგვყარე ხათაბალაში.

ეხლა კეტსაცა იგემებ

ჩვენ ხელით თავის ქალაში,

თავგატეხილი ჩაუხვალ

პრისტავსა ონის ქალაქში.

ეს რომ თქვეს ღებელთ, მაშინვე

ხელი გაიკრეს ჯოხებსა,

ჭიორლებსა და ზემლემერს

ცემენ, უმტვრევენ გვერდებსა.

დაფრთხა ჭიორა, გაიქცა,

როგორც რომ ნიავ-ქარიო,

მათსა შარვლებსა ვერ გარეცხს

თუთხმეტი ტონა წყალიო,

სულ აამტუტეს რიონი

შავ-მურიანი არიო.

უწერამ შემოუთვალა

ჭიორას, ეს რა არიო.

სირცხვილის აღარ გრცხვენიათ

რათ აგვიმღვრიეთ წყალიო,

თქვენც იცით ჩვენსა ზვარია,

ქვევრების რეცხა არიო.

ღების ჭიდილი არ გარგებთ,

არც არის თქვენთვის კარგიო.

თავს მოუსვენეთ, გაჩერდით

თუ არ გინდოდეთ შხამიო.

სოფელ ღებში დაგვიძახეს

კომლეურათ თითო კაცი,

ჭიორაში გაგვაგზავნეს

არჩეული სამი კაცი.

ერთი თვითონ მე ვიყავი,

მე, - ჩხუტაშვილი თევდორა;

ჭიორის კანცელარია

მე საჯინიბო მეგონა,

როგორ არ მეგონებოდა,

ცხენები ებნენ ზალაში.

ჭიორლებმა საჩივარი

ვერ მოიყვანეს ძალაში;

ვერც ცელით თიბეს წიხვარგას,

ვერც ბიჯი წადგეს შთალაში,

მათი ბარი და წერაქვი

შიშით დავარდათ ბალახში.

არყის ჯოხებით დაბეჟეს

ჭიორის კაცთა გვამები,

დაბეჟილ - დასისხლულებმა

ძლივს მიაღწიეს სახლებში.

www.gebi.ge